

## ლექცია საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის

2018 წლის 6 ნოემბერს კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სასწავლო პრაქტიკის ფარგლებში შედგა სპეციალური ღონისძიება საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის.

ცენტრის დიპლომატიკისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა, დოქტ. თეა ქართველიშვილმა სტუდენტებს წაუკითხა ლექცია „ქართული საისტორიო საბუთები, როგორც დოკუმენტური წყარო“. მომხსენებელმა სტუდენტებთან ისაუბრა შემდეგ თემებზე: დოკუმენტური წყაროების გარეგნული და შინაარსობრივი მახასიათებლები, საბუთების აგებულება, იურიდიული ძალის მქონე ატრიბუტიკა, საბუთების ნაირსახეობანი და არქეოგრაფიული აღწერილობის სპეციფიკა. საკითხების საილუსტრაციოდ გამოყენებული იყო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ისტორიული დოკუმენტების დიგიტალური ასლები.

სტუდენტთა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია მეფეთა ხელრთვებმა ქართულ ისტორიულ დოკუმენტებზე, ასევე, მოხატულმა ისტორიულმა დოკუმენტებმა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ისტორიული დოკუმენტების კოლექციიდან.

სასწავლო პრაქტიკა ხორციელდება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში.